



2023
წელი

შპს გურამ თავართქილაძის
სახელობის
თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი
პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია

მუხლი 1. შესავალი

1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია (შემდგომში - „მეთოდოლოგია“) განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესს.
2. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდება ფაკულტეტების დეკანებისა და პროგრამის ხელმძღვანელების უშუალო ჩართულობით.

მუხლი 2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები:
 - ა) სწავლის/ფართო/დეტალური/ვიწრო სფეროს სპეციფიკა;
 - ბ) საგანმანათლებლო პროგრამებზე არსებული სტუდენტების რაოდენობა;
 - გ) სტუდენტთა დაგეგმილი რაოდენობა;
 - დ) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
 - ე) პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკა.

მუხლი 3. აკადემიური, აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები

1. აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატური უნდა იყოს სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის და თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/20;
2. იმ მოწვეული პერსონალის, რომელიც ახორციელებს პროგრამის სავალდებულო სასწავლო/კვლევით კომპონენტს, თანაფარდობა აკადემიურ პერსონალთან მიმართებით არ უნდა აღემატებოდეს 1/1;
3. აფილირებული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს არსებული აკადემიური პერსონალის 50%-ზე ნაკლები.

მუხლი 4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

1. აფილირებული აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვა შედგება - სასწავლო დატვირთვისგან, სამეცნიერო/კვლევითი დატვირთვისგან, საკონსულტაციო დატვირთვისგან (სტუდენტთა კონსულტაციისთვის განკუთვნილი დრო), სასწავლო უნივერსიტეტის მართვაში/გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მის განვითარებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში მონაწილეობისგან;
2. არააფილირებული აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვა შედგება - სასწავლო დატვირთვისგან, საკონსულტაციო დატვირთვისგან (სტუდენტთა კონსულტაციისთვის განკუთვნილი დრო), სასწავლო უნივერსიტეტის განვითარებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში მონაწილეობისგან. არააფილირებული აკადემიური პერსონალი საკუთარი სურვილით შეიძლება ჩაერთოს სასწავლო უნივერსიტეტის მართვის/გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
3. მოწვეული პერსონალის დატვირთვა შედგება - სასწავლო დატვირთვისგან, საკონსულტაციო დატვირთვისგან (სტუდენტთა კონსულტაციისთვის განკუთვნილი დრო).

მუხლი 5. აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სამიზნე ნიშნულები

1. აფილირებული აკადემიური პერსონალის:
 - სააუდიტორიო/სასწავლო დატვირთვა განისაზღვრება ყოველი სემესტრის დასაწყისში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დეკანთან შეთანხმებით;
 - სამეცნიერო/კვლევითი დატვირთვა განისაზღვრება - კვირაში 6-9 საათით (იმის გათვალისწინებით აქვს თუ არა ადმინისტრაციული ფუნქცია);
 - საკონსულტაციო დატვირთვა განისაზღვრება - კვირაში 3-12 საათით (იმის გათვალისწინებით, რამდენ სასწავლო კურსს უძღვება, აგრეთვე რამდენი სტუდენტის და ა.შ.)
 - სასწავლო უნივერსიტეტის მართვაში/გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის დრო განისაზღვრება - კვირაში 2 საათით;
 - სასწავლო უნივერსიტეტის განვითარებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში მონაწილეობის დრო განისაზღვრება - კვირაში 2 საათით;
2. არააფილირებული აკადემიური პერსონალის:

- სააუდიტორიო/სასწავლო დატვირთვა განისაზღვრება ყოველი სემესტრის დასაწყისში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დეკანთან შეთანხმებით;
- საკონსულტაციო დატვირთვა განისაზღვრება - კვირაში 3-12 საათით (იმის გათვალისწინებით, რამდენ სასწავლო კურსს უძღვება, აგრეთვე რამდენი სტუდენტის და ა.შ.);
- სასწავლო უნივერსიტეტის განვითარებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში მონაწილეობის დრო განისაზღვრება - კვირაში 1 საათით;
- იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო უნივერსიტეტის არააფილირებული აკადემიური პერსონალი საკუთარი სურვილით ჩართულია სასწავლო უნივერსიტეტის მართვის/გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მისი დატვირთვა ამ აქტივობაში განისაზღვრება - კვირაში 1 საათით;

3. მოწვეული პერსონალის:

- სააუდიტორიო/სასწავლო დატვირთვა განისაზღვრება ყოველი სემესტრის დასაწყისში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დეკანთან შეთანხმებით;
- მოწვეული პერსონალის საკონსულტაციო დატვირთვა განისაზღვრება - კვირაში 3-12 საათით (იმის გათვალისწინებით, რამდენ სასწავლო კურსს უძღვება, აგრეთვე რამდენი სტუდენტის და ა.შ.)